



საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

N8 პენიტენციური დაწესებულების ქსნის ნაწილსა
და N10 პენიტენციურ დაწესებულებაში
განხორციელებული საგანგებო ვიზიტების შემდგომი
ანგარიში

(2020 წლის 26 ივნისი და 2020 წლის 3 სექტემბერი)

მომზადებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“
საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის
შესაბამისად

სარჩევი

1. შესავალი	3
2. მოპყრობა, წესრიგი და უსაფრთხოება.....	5
3. პაციმრობის პირობები	8
3.1. ფიზიკური გარემო.....	8
3.2. დღის განრიგი და რეაბილიტაცია.....	9
4. კონტაქტი გარე-სამყაროსთან	10
5. მოთხოვნა/საჩივარი.....	10
6. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.....	11
6.1. ინფექციის კონტროლი	11
6.2. საკარანტინე სივრცე.....	12
7. სამედიცინო მომსახურება	13
7.1. სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა	13
7.2. სამედიცინო რეფერალი	16
7.3. მედიკამენტებით მომარაგების საკითხი	16
7.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა	17

1. შესავალი

2020 წლის მარტის ბოლოდან, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა დაიწყო N8 პენიტენციურ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გადაყვანის პროცესი დაბა ქსანში მდებარე N19 დაწესებულების შენობებში.¹ 2020 წლის 26 ივნისს N8 დაწესებულების დაბა ქსანში არსებულ ნაწილში განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტისას, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა² პერსონალისგან მიიღო ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ კორონავირუსის პანდემიის გამო N8 დაწესებულებაში საჭირო გახდა ახალი შესახლებული პატიმრებისთვის საკარანტინე სივრცის მოწყობა, სადაც მათ სხვა პატიმრებისგან იზოლირებულად, 21 დღის ვადით მოათავსებდნენ. საკარანტინე სივრცისთვის ადგილის გასათავისუფლებლად, N8 დაწესებულების გადატვირთულობის გამო, აუცილებელი გახდა N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გადაყვანა. აღნიშნულიდან გამომდინარე, 2020 წლის 20 მარტიდან, დაბა ქსანში მდებარე იმ მომენტისთვის არსებულ N19 დაწესებულების ერთ-ერთ სარეჟიმო კორპუსში მოეწყო N8 დაწესებულების ნაწილი და ეტაპობრივად მოხდა აღნიშნულ სივრცეში N8 დაწესებულებაში მყოფი პატიმრების გადაყვანა.

2020 წლის 5 აგვისტოს ძალაში შევიდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 3 ივლისის N569 ბრძანება, რომელთაც გაუქმდა N19 პენიტენციური დაწესებულება, ხოლო საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 13 მაისის N537 ბრძანების საფუძველზე, აღნიშნული დაწესებულების ტერიტორიაზე ფუნქციონირება დაიწყო ახალმა, N10 პენიტენციურმა დაწესებულებამ. ამჟამად N10 დაწესებულების ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ყოფილი N19 დაწესებულების ადმინისტრაცია და პერსონალი, ხოლო დაწესებულებაში განთავსებული არიან ის პატიმრები, რომლებიც 2020 წლის 5 აგვისტომდე ირიცხებოდნენ N8 დაწესებულების დაბა ქსანში მდებარე ნაწილში. ყოფილი N19 დაწესებულების ტერიტორიაზე ასევე განთავსდა N18 დაწესებულების ტუბერკულოზისა და ინფექციურ სნეულებათა განყოფილება.³ N10 პენიტენციური დაწესებულების დაქვემდებარებაშია ასევე ამავე დაწესებულების შენობაში განთავსებული საკარანტინე განყოფილება, სადაც სხვადასხვა დაწესებულებიდან სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით გაყვანილი

¹ 2015 წლის 27 აგვისტოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №117 ბრძანების საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №8 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ მე-2 მუხლი მე-9 ქვეპუნქტში გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით N8 პენიტენციური დაწესებულების მისამართი ასევე იყო დაბა ქსანი. ცვლილება ბრძანებაში ხელმისაწვდომია <<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4826405?publication=0>> [ბოლოს ნანახია: 05.10.2020].

² საქართველოს სახალხო დამცველი ან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრი ამოწმებს დაკავების, წინასწარი პატიმრობისა და თავისუფლების შეზღუდვის სხვა ადგილებში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობა

³ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N114 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების დებულების მე-2 მუხლის მე-8 პუნქტი.

ბრალდებულები/მსჯავრდებულები თავსდებიან და საკარანტინე პერიოდის გასვლის შემდეგ აბრუნებენ იმ დაწესებულებებში, სადაც ირიცხებიან.

სახალხო დამცველის სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა პირველი მონიტორინგის ვიზიტი განახორციელა, 2020 წლის 26 ივნისს,⁴ როდესაც ზემოაღნიშნულ შენობაში ჯერ კიდევ N8 დაწესებულების დაბა ქსნის ნაწილი არსებობდა. აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში, სპეციალური პრევენციული ჯგუფი⁵ გაესაუბრა პატიმრებს, პერსონალს და ხელმძღვანელ პირებს, შეისწავლა სამედიცინო და სხვა დოკუმენტაცია და დაათვალიერა დაწესებულების ფიზიკური გარემო.⁶ სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა მონიტორინგის მეორე ვიზიტი 2020 წლის 3 სექტემბერს განახორციელა, როდესაც აღნიშნულ ტერიტორიაზე უკვე N10 დაწესებულება იყო ჩამოყალიბებული. 2020 წლის 3 სექტემბრის მონიტორინგის დროს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დამატებით მიიღო ინფორმაცია 2020 წლის 5 აგვისტოს შემდგომ განხორციელებული ცვლილებების შესახებ.⁷ წინამდებარე ანგარიშში ერთობლიობაში და ინდივიდუალურად წარმოდგენილია ის ძირითადი ასპექტები, რითაც ხასიათდებოდა N8 დაწესებულების დაბა ქსნის ნაწილი და შემდგომში უკვე N10 დაწესებულება.

წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის შესაბამისად, სახელმწიფო იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის დაუბრკოლებელი წვდომა დაკავებულ პირთა მოპყრობასა და დაკავების პირობებთან დაკავშირებულ ყველა ინფორმაციაზე.⁸ მიუხედავად ამისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს ორივე ვიზიტის დროს, სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული მითითების საფუძველზე, უარი განუცხადეს ერთიანი ელექტრონული ბაზის შემოწმებაზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის მანდატისა და მეთოდოლოგიის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს სხვადასხვა დოკუმენტაციიდან მიღებული მოცულობითი ინფორმაციის კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით დამუშავება. სამწუხაროა, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს შეექმნათ დაბრკოლებები განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების წვდომის თვალსაზრისით.⁹

⁴ წინამდებარე ანგარიშში 2020 წლის 26 ივნისს N8 დაწესებულების დაბა ქსნის ნაწილში განხორციელებული ვიზიტი მოხსენიებული იქნება, როგორც პირველი ვიზიტი.

⁵ 2020 წლის 26 ივნისის ვიზიტის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა, ასევე, ექიმი.

⁶ პირველი ვიზიტის დროს, სპეციალურმა პრევენციულმა ჯგუფმა დაათვალიერა საცხოვრებელი საკნები, სასეირნო ეზოები, პირველადი ჯანდაცვის ოთახი, წამლების სამარაგო და სხვა სამუშაო სივრცეები. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები არ შესულან ყოფილი N19 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილ საკარანტინე სივრცეში.

⁷ წინამდებარე ანგარიშში 2020 წლის 3 სექტემბერს N10 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტი მოხსენიებული იქნება, როგორც მეორე ვიზიტი.

⁸ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის წინააღმდეგ კონვენციის ფაკულტატიური ოქმის მე-20 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁹ პრევენციის ეროვნული მექანიზმისთვის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების წვდომის კუთხით შექმნილ დაბრკოლებებზე საუბარია, ასევე, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2018 წლის ანგარიშში (გვ. 6-7) და პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში (გვ. 7-9).

26 ივნისის ვიზიტის დროს N8 დაწესებულების დაბა ქსნის ნაწილში სულ 169 მსჯავრდებული იმყოფებოდა. აქედან 144 მსჯავრდებულს განსაზღვრული ჰქონდა მომეტებული რისკი; 21 მსჯავრდებულს განსაზღვრული ჰქონდა საშუალო რისკი, ხოლო 4 მსჯავრდებულს ვიზიტის დროისთვის რისკი შეფასებული არ ჰქონდა. 13 მსჯავრდებული დასაქმებული იყო სამეურნეო სამსახურში. რაც შეეხება N10 დაწესებულებას, 2020 წლის 3 სექტემბრის ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 168 მსჯავრდებული, ყველა მათგანს რისკის კატეგორია განსაზღვრული ჰქონდა და უმეტესობა მიეკუთვნებოდა მომეტებული რისკის კატეგორიას.

2020 წლის 26 ივნისის ვიზიტის დროს, დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლების განმარტებით, N8 დაწესებულების გლდანში არსებული ნაწილიდან საშუალო რისკის მსჯავრდებულები გადმოიყვანეს იმის გამო, რომ ისინი ვერ გადაჰყავთ ნახევრად ღია ტიპის დაწესებულებებში უსაფრთხოების საფუძვლიდან გამომდინარე.

N10 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა განთავსების ლიმიტია 700 მსჯავრდებული.¹⁰ დაწესებულების დირექტორის განმარტებით, დებულებით განსაზღვრული რაოდენობის პატიმრებს დაწესებულება ჯერჯერობით ვერ მიიღებს, რადგან საკმარისი რაოდენობის სასეირნო ეზო არ არის მომზადებული და მათი მოწყობა ახლო მომავალში იგეგმება.

სახალხო დამცველი მიესალმება დიდი ზომის დაწესებულებების განტვირთვას და პატიმრების უფრო მცირე ზომის დაწესებულებებში გადაყვანას, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ თითოეულ პენიტენციურ დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იყოს უსაფრთხო, არასათანადო მოპყრობისგან დაცული და რეაბილიტაცია/რესოციალიზაციისათვის აუცილებელი გარემო.

2. მოპყრობა, წესრიგი და უსაფრთხოება

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2020 წლის 26 ივნისის ვიზიტის დროს, ჯგუფს არ მიუღია ინფორმაცია დაწესებულების თანამშრომლების მიერ მსჯავრდებულთა მიმართ განხორციელებული ფიზიკური/ფსიქოლოგიური ძალადობის შესახებ. გამოკითხული პატიმრების უმრავლესობა თანამშრომლებს დადებითად ახასიათებდა. პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლები ითვალისწინებენ მათ თხოვნებს და დაძახების შემთხვევაში სწრაფად მიდიან საკნებთან. სახალხო დამცველი დადებითად აფასებს პატიმრების მიმართ თანამშრომლების გულისხმიერ დამოკიდებულებას.

2020 წლის 26 ივნისის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ერთ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პატიმრის მიერ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს, კერძოდ, 2020 წლის 15 ივნისს ერთ-ერთმა მსჯავრდებულმა ხანმოკლე პაემნის დასრულების შემდეგ, საკანში ატეხა ხმაური. მან დაამტვრია საკნის

¹⁰ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანების პირველი მუხლის ზ¹ პუნქტი. ხელმისაწვდომია:

<<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/2962334?publication=18>> [ბოლოს ნანახია: 05.10.2020].

ფანჯარა და ფანჯრის პლასტმასის ნაჭერს ურტყამდა საკნის კარის სარკმელს. მსჯავრდებულთან კონტაქტის დამყარების მიზნით, სარკმელი გახსნა სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა, რა დროსაც მსჯავრდებულის მიერ მოქმედი ფანჯრის ნაჭერი მოხვდა თვალბუდის არეში. ამის შემდეგ მსჯავრდებულის თავისით დამშვიდდა. აღნიშნულ ფაქტზე დაიწყო გამოძიება და მსჯავრდებულის გადაყვანილ იქნა N8 დაწესებულების თბილისში მდებარე ნაწილში.

მონიტორინგის ჯგუფმა ორივე ვიზიტის დროს დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, მიიღო ინფორმაცია პატიმრების შიმშილობის, თვითდაზიანებების და საყოფაცხოვრებო ტრავმების შემთხვევების შესახებ. საგულისხმოა, რომ პირველი ვიზიტისას, ასევე, ადგილი ჰქონდა პატიმართა შორის კონფლიქტის 3 შემთხვევას, როდესაც თანამესაკნეები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ და აქედან 2 შემთხვევაში პატიმრებმა მიიღეს დაზიანებები. N8 დაწესებულებაში წარმოებული დოკუმენტაციის მიხედვით, კონფლიქტის შედეგად დაპირისპირებული პატიმრები მოათავსეს ერთმანეთისგან განცალკევებით და ფაქტების შესახებ შეატყობინეს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის საგამოძიებო სამმართველოს. რაც შეეხება N10 დაწესებულებას (2020 წლის 3 სექტემბრის ვიზიტი), დოკუმენტაციის მიხედვით, 2020 წლის 5 აგვისტოდან 3 სექტემბრამდე პერიოდში, პატიმართა შორის დაპირისპირების შემთხვევები არ ფიქსირდება.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით ახლად შექმნილი N10 დაწესებულება დგას ისეთივე პრობლემების წინაშე, რომლითაც ხასიათდება პენიტენციური სისტემის დახურული ტიპის დაწესებულებები, რაზეც სახალხო დამცველი წლების განმავლობაში მიუთითებდა.¹¹ სხვა დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების მსგავსად, N10 დაწესებულებაში მყოფი პატიმრები მათთვის საინტერესო აქტივობების გარეშე 23 საათის განმავლობაში იმყოფებიან საკანში. ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ დაწესებულებაში მყოფი პატიმრების თითქმის ნახევარს აწუხებს ფსიქოლოგიური/ფსიქიკური პრობლემები და რეგულარულად იღებს ფსიქოტროპულ მედიკამენტებს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ზემოაღნიშნულ პირობებში პატიმრების ყოფნა არა მხოლოდ ეწინააღმდეგება ნორმალიზაციის პრინციპს¹² არამედ უარყოფით გავლენას ახდენს პატიმართა ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში პატიმართა პროტესტის, თვითდაზიანებისა¹³ და კონფლიქტების ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი ხდება.¹⁴

¹¹ იხილეთ სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, გვ. 54-55 ხელმისაწვდომია < <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020033122424787329.pdf> > [ბოლოს ნანახია: 05.10.2020].

¹² "ციხის ცხოვრება, რამდენადაც ეს შესაძლებელია, მიახლოებული უნდა იყოს საზოგადოებრივი ცხოვრების პოზიტიურ ასპექტებთან". ციხის ევროპული წესები, წესი N5. ხელმისაწვდომია < <https://rm.coe.int/european-prison-rules-978-92-871-5982-3/16806ab9ae> > [ბოლოს ნანახია: 05.10.2020].

¹³ N10 დაწესებულებაში 2020 წლის 5 აგვისტოდან 3 სექტემბრის ჩათვლით 8 თვითდაზიანების შემთხვევა ფიქსირდებოდა.

¹⁴ იხილეთ სახალხო დამცველის ანგარიში „პატიმრობის პირობების გავლენა პატიმართა ჯანმრთელობაზე“, 2018 წელი, გვ. 118-124, ხელმისაწვდომია < <http://www.ombudsman.ge/res/docs/2019060317571314166.pdf> >, [ბოლოს ნანახია: 05.10.2020].

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N10 დაწესებულების მართვა, ისევე როგორც სხვა დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებების, ეფუძნება სტატიკური უსაფრთხოების პრინციპებს და არ არის ორიენტირებული მსჯავრდებულთა ქცევის პოზიტიურ ცვლილებასა და რეაბილიტაციაზე. დაწესებულებაში სათანადო მულტიდისციპლინური მიზანობის არარსებობის ფონზე,¹⁵ წესრიგის შენარჩუნების მიზნით, ძირითადად გამოიყენება ვიდეომეთვალყურეობა,¹⁶ დისციპლინური სახდელების დაკისრება¹⁷ და სხვა დახურულ დაწესებულებაში გადაყვანა.¹⁸

რეკომენდაცია N10 პენიტენციური დაწესებულების დირექტორს

- პატიმართა შორის კონფლიქტების, თვითდაზიანების, შიმშილობის შემთხვევებში და სხვა კრიზისულ სიტუაციებში, უზრუნველყოს ფსიქოლოგის, ფსიქიატრის, სოციალური მუშაკის, ექიმის და სხვა თანამშრომლების ერთობლივი, მულტიდისციპლინური მიზანობა მათი გამომწვევი მიზეზების აღმოსაფხვრელად.
- უზრუნველყოს თითოეული კრიზისული სიტუაციის გამომწვევი მიზეზების შესწავლა და მათი პრევენციის კონკრეტული გეგმის შემუშავება, რომელიც უნდა ეფუძნებოდეს პატიმართა ქცევის პოზიტიურ ცვლილებებს¹⁹ და ხორციელდებოდეს კომუნიკაციისა და ზრუნვის ატმოსფეროში.

¹⁵ იხილეთ ანგარიშში მე-9 გვერდზე - დღის წესრიგი და რეაბილიტაცია.

¹⁶ 2020 წლის 3 სექტემბრისთვის N10 დაწესებულებაში ელექტრონული მეთვალყურეობა 29 მსჯავრდებულზე ხორციელდებოდა 13 საკანში.

¹⁷ 2020 წლის 20 მარტიდან 2020 წლის 26 ივნისამდე გამოიყენეს სულ 15 დისციპლინური სახდელი - „საყვედური“. ხოლო, 2020 წლის 5 აგვისტოდან 2020 წლის 3 სექტემბრამდე დისციპლინური სახდელი 2-ჯერ იქნა გამოყენებული, რომელთაგან ერთი იყო „საყვედური“, მეორე კი სატელეფონო საუბრის უფლებით სარგებლობის შეზღუდვა.

¹⁸ 2020 წლის 20 მარტიდან ივნისამდე დაწესებულებიდან გადაიყვანეს სულ 12 მსჯავრდებული. მსჯავრდებულების გადაყვანა მოხდა N2 დაწესებულებაში და N8 დაწესებულების თბილისში (გლდანში) განთავსებულ ნაწილში.

¹⁹ პატიმართა ქცევის პოზიტიური ცვლილებისთვის მიზანობა უსაფრთხოების და წესრიგის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელი ფაქტორია და ხელს უწყობს დინამიკური უსაფრთხოების პრინციპზე დაფუძნებულ პენიტენციური დაწესებულების მართვას. გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და კრიმინალის ოფისის სახელმძღვანელო „დინამიკური უსაფრთხოება და ციხის გონივრული მართვა“, 2015, ხელმისაწვდომია <<https://bit.ly/3rFNqre>> [ბოლოს ნანახია: 06.10.2020]. დიდ ბრიტანეთის პენიტენციურ სისტემაში მოქმედებს ე.წ. წამახალისებელი და გამომწვევადი პრივილეგიების სქემა (Incentives Earned Privileges (IEP)), რომელიც პატიმარს უზიარებს დამსახურებულად მოიპოვოს გარკვეული პრივილეგიები. <<https://bit.ly/3qx5N09>> დიდი ბრიტანეთი პრევენციის ეროვნული მექანიზმი პატიმართა ქცევის პოზიტიური ცვლილების შეფასებისათვის მნიშვნელოვნად მიიჩნევს შემდეგ გარემოებებს: „პატიმრები ცხოვრობენ უსაფრთხო, კარგად მოწესრიგებულ და მოტივირების მომცემ გარემოში, სადაც მათი პოზიტიური ქცევა არის დაფასებული და არამართლზომიერ ქცევაზე არის ობიექტური, სამართლიანი და პროპორციული რეაგირება. დიდი ბრიტანეთის პრევენციის ეროვნულმა მექანიზმმა დადებითად შეაფასა ის პენიტენციური დაწესებულებები, სადაც წამახალისებელი და გამომწვევადი პრივილეგიების სქემა კარგად იყო იმპლემენტირებული, მათ შორის ე.წ. დამსახურების სქემის სახით, რომელიც გულისხმობდა ერთი კვირის განმავლობაში საყვედური მიუღებლობის შემთხვევაში დამატებითი ქულების მინიჭებას. ანგარიში ხელმისაწვდომია: <<https://bit.ly/3tbhGuK>> [ბოლოს ნანახია:06.10.2020].“

3. პატიმრობის პირობები

3.1. ფიზიკური გარემო

დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ მსჯავრდებულები უზრუნველყოფილები არიან მინიმალური 4 კვმ საცხოვრებელი ფართით.²⁰ დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობები დამაკმაყოფილებელია. კერძოდ, საცხოვრებელ საკნებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური პირობები²¹, დამაკმაყოფილებელია როგორც ბუნებრივი განათება ასევე ბუნებრივი ვენტილაცია. ვიზიტის დროს, საკნებში ტემპერატურული რეჟიმი დაცული იყო.

დაწესებულების ადმინისტრაციის გადმოცემით, დაწესებულებაში დეზინფექციას ატარებს სპეციალური სამსახური, რომელიც დაწესებულებაში შემოდის თვეში ორჯერ. აღნიშნული სამსახურის მიერ სპეციალური სითხით მუშავდება საერთო სივრცეები (დერეფნები, კიბის უჯრედები, სასეირნო ეზოები და ა.შ.) რაც შეეხება საკნების დეზინფექციას, აღნიშნული დამოკიდებულია მსჯავრდებულთა სურვილზე.²²

დაწესებულებაში შესახლებისას, მსჯავრდებულებს ურიგდებათ პირადი ჰიგიენის საშუალებები, როგორცაა თეთრეული, პირსახოცი, სარეცხი საპონი, სარეცხი ფხვნილი, ტუალეტის ქაღალდი, კბილის ჯაგრისი და კბილის პასტა. შემდგომ, მოთხოვნის შემთხვევაში, მსჯავრდებულებს გადაეცემათ მხოლოდ ტუალეტის ქაღალდი, სარეცხი საპონი და ფხვნილი. ჰიგიენის სხვა საშუალებები თავად უნდა შეიძინონ. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, აუცილებელია ყველა მსჯავრდებულს, საკმარისი პერიოდულობით სახელმწიფოს ხარჯზე მიეწოდებოდეს პირადი ჰიგიენის დაცვის ყველა აუცილებელი საშუალება.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ყველა საცხოვრებელ საკანში არის საშხაპე და პატიმრებს შეუზღუდავად, მათთვის სასურველ დროს შეუძლიათ შხაპის მიღება.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს ყველა მსჯავრდებულის სახელმწიფოს ხარჯზე პირადი ჰიგიენის ნივთებით ყოველთვიურად საკმარისი რაოდენობით მომარაგება

²⁰ საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსის“ მე-15 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, 1 მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტზე ნაკლები.

²¹ საკნებში სისუფთავის დაცვაზე პატიმრები ზრუნავენ.

²² საკანში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება მსჯავრდებულებისთვის დაკავშირებულია გარკვეულ დისკომფორტთან, კერძოდ: უწევთ საკნის დატოვება გარკვეული პერიოდით, საკანში სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარების შედეგად საკანში რჩება სპეციფიური სუნი.

3.2. დღის განრიგი და რეაბილიტაცია

როგორც სხვა პენიტენციურ დაწესებულებებში, N10 დაწესებულებაშიც განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია–რესოციალიზაციის კუთხით. დაწესებულებაში არ ტარდება არანაირი სარეაბილიტაციო აქტივობები. 26 ივნისს დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, პატიმრები აღნიშნავდნენ, რომ მათ სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი დაახლოებით ბოლო 2 თვის განმავლობაში არ უნახავთ. 2020 წლის 3 სექტემბრის მდგომარეობით, დაწესებულებაში დასაქმებულია 2 სოციალური მუშაკი და 1 ფსიქოლოგი. ამავე პერიოდში განხორციელებული ვიზიტისას, დაწესებულების ადმინისტრაციის გადმოცემით, ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკი მსჯავრდებულებს პანდემიის გამო მინის ბარიერს მიღმა ხვდებიან.

ერთადერთი გასართობი ტელევიზორი ან/და რადიოა. პატიმრები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ სატელევიზიო არხების სიმცირეზე. დაწესებულებაში არ არის სავარჯიშო ინვენტარი, გარდა სასეირნო ეზოებში არსებული ტურნიკებისა.

სამწუხაროა, რომ პატიმრებს არ ეძლევათ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება²³. საინტერესო და თავშესაქცევი აქტივობების გარეშე 23 საათი საკანში ყოფნა კი აძლიერებს პროტესტის, უსამართლობის და უიმედობის განცდას, რაც პრობლემებს აჩენს წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს ხელი მიუწვდებოდეთ სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის მომსახურებაზე, გაიზარდოს სუფთა ჰაერზე გასეირნების 1 საათიანი დრო და დაწესებულება აღიჭურვოს სავარჯიშო ინვენტარით. ასევე მიზანშეწონილია შემუშავდეს განსაკუთრებულ პირობებში სარეაბილიტაციო აქტივობების ჩატარების გეგმა, სადაც, inter alia, განხილულ იქნება ამ აქტივობების დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა ასეთი გეგმა დროულად წარმოადგინოს.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- შემუშავდეს განსაკუთრებულ პირობებში სარეაბილიტაციო აქტივობების ჩატარების გეგმა, სადაც, inter alia, განხილულ იქნება ამ აქტივობების დისტანციურად წარმართვის შესაძლებლობა
- პატიმრებს მიეცეთ 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის შესაძლებლობა
- უზრუნველყოს დაწესებულების სავარჯიშო ინვენტარით აღჭურვა

²³ სახალხო დამცველი თავის არაერთ ანგარიშში ითხოვს დახურული და განსაკუთრებული რისკის დაწესებულებებში მყოფი პატიმრების 1 საათზე მეტი ხნით სუფთა ჰაერზე ყოფნის უზრუნველყოფას, თუმცა აღნიშნული რეკომენდაცია კვლავ შეუსრულებელია. იხილეთ პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში. ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: < <http://ombudsman.ge/res/docs/2020033122424787329.pdf> > გვ. 32, გვ. 81.

4. კონტაქტი გარე-სამყაროსთან

დაწესებულებაში მყოფი პაციენტები აქტიურად სარგებლობენ სატელეფონო ზარების უფლებით, ასევე ხანმოკლე პაემნებით, რომელიც ხორციელდება მინის ბარიერს მიღმა. სამწუხაროდ, პანდემიის გამო მსჯავრდებულები ვერ სარგებლობენ ხანგრძლივი პაემნის²⁴ უფლებით, ხოლო ვიდეო-პაემნის ინფრასტრუქტურა დაწესებულებაში არ არის.

პანდემიის პირობებში პენიტენციურ დაწესებულებებში დაწესებული შეზღუდვების საკომპენსაციოდ მსჯავრდებულებს არსებულ სატელეფონო ლიმიტზე დაუმატეს უფასო 15 წუთი, რომელიც პენიტენციურ სისტემაში განსაკუთრებული პირობების მოქმედების პერიოდში, ყოველთვიურად საჩუქრად გადაეცემათ პაციენტებს. გარდა ამისა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა უზრუნველყო თითოეულ პაციენტზე ერთჯერადად 20 წუთის ხანგრძლივობის სასაუბრო დროის დარიცხვა.

სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ გლობალური პანდემიის პირობებში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაიზარდოს პაციენტების ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობები, ხანმოკლე პაემნები მინის ბარიერს მიღმა და ასევე დისტანციური კონტაქტის შესაძლებლობები (მაგ. სატელეფონო ზარები, ვიდეო პაემნები).

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- მსჯავრდებულებისთვის ვიდეო-პაემნის უფლებით სარგებლობის მიზნით მოეწყოს დაწესებულებაში ვიდეო-პაემნის ინფრასტრუქტურა
- მოეწყოს N10 დაწესებულებაში ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა

5. მოთხოვნა/საჩივარი

დაწესებულებაში პირველი ვიზიტის დროს გაირკვა, რომ 2020 წლის 16 მარტის შემდეგ, დაწესებულების საჩივრების ყუთები არ გამოიყენება და ისინი არ გახსნილა დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ. გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ის გარემოება, რომ დაწესებულებაში მყოფი პაციენტების მიერ თანხმლები პირის გარეშე საჩივრის ყუთით სარგებლობის შეუძლებლობა და ის, რომ დაწესებულების დერეფანში არსებული საჩივრის ყუთი სათვალთვალო კამერების ხედვის არეალში ხვდება. პირველი ვიზიტის დროს პაციენტებმა განმარტეს, რომ ქსანში გადასვლის შემდეგ საჩივარი არ დაუწერიათ. ისინი აცხადებდნენ, რომ თუ რამე თხოვნა აქვთ, პირდაპირ თანამშრომელს სთხოვენ ან წერილს აგზავნიან პენიტენციურ სამსახურში.

რეკომენდაციები იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს საჩივრის ყუთების დამონტაჟება ვიდეო-კამერების ხედვის არეალის გარეთ და მათი გახსნა ყოველდღიურად, დადგენილი წესის შესაბამისად

²⁴ დაწესებულებაში არ არის ხანგრძლივი პაემნის ინფრასტრუქტურა.

6. ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით გატარებული ზომები და ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა

6.1. ინფექციის კონტროლი

დაწესებულების შესასვლელში ხელმისაწვდომია სადეზინფექციო სითხე, მოწყობილია დეზობარიერი და სადეზინფექციო კორიდორი. დაწესებულებაში შემსვლელ პირებს, თერმო-სკრინინგის შემდეგ, გადაეცემათ ინდივიდუალური დაცვის საშუალებები (ხალათები, პირბადეები, ხელთათმანები, ჩაჩები და ბახილები). ზემოთ აღნიშნული ზომების მიღების მიზანს დაწესებულებაში ახალი კორონავირუსის გავრცელების პრევენცია წარმოადგენს.

2020 წლის 26 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებაში სადეზინფექციო საშუალებებისა და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების²⁵ მარაგი არ იყო. სამედიცინო პერსონალის განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში აღნიშნული საშუალებების მარაგს N19 დაწესებულება აწვდიდა. ამავე ვიზიტის დროს დადგინდა, რომ დაწესებულების სამედიცინო პერსონალის გარდა სხვა თანამშრომლებს რაიმე ტრენინგი ან ინსტრუქტაჟი კორონავირუსის პრევენციის საკითხებზე არ ჩატარებიათ.²⁶ სამედიცინო პერსონალიდან კი მხოლოდ ერთმა ექიმმა და სამმა ექთანმა გაიარა ტრენინგის მოკლე კურსი COVID-19-ის დიაგნოსტიკასა და მკურნალობის საკითხზე.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ ვიზიტებისას მიღებული ინფორმაციით, დაწესებულების თანამშრომლებს 2 კვირაში ერთხელ უტარდებოდათ PCR ტესტი. საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელია პაციმრისთვის ახალი კორონავირუსის ანტიგენზე სწრაფი ტესტის ჩატარება.²⁷ ასევე, დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ სპეციალური პენიტენციური სამსახურის ინფორმაციით, 2020 წლის 12 ოქტომბრიდან PCR ტესტი ჩაუტარდება ყველა ბრალდებულს საკარანტინე პერიოდის გავლის შემდეგ, პენიტენციურ დაწესებულებაში შესახლებამდე.²⁸

პერსონალური დაცვის საშუალებებს ის პერსონალი იყენებს, რომლებიც დაწესებულებაში გარედან შემოდებიან.²⁹ ხოლო ყაზარმულ რეჟიმზე მყოფი პერსონალი³⁰

²⁵ ერთჯერადი ხალათი, პირბადე, ხელთათმანი, ბახილი, ჩაჩი.

²⁶ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებების არასწორი გამოყენების თავიდან ასაცილებლად მნიშვნელოვანია დაწესებულების თანამშრომლებმა გაიარონ ადეკვატური სწავლება“, Preparedness, prevention and control of COVID-19 in prisons and other places of detention (Interim guidance), WHO, 2020 წლის მარტი, გვ.13. ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://bit.ly/2SAyECJ> [ბოლოს ნანახია 05.10.2020].

²⁷ დაწესებულების გახსნის დღიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაში გახდა საჭირო ტესტის ჩატარება, რადგან პაციენტს ტემპერატურა ჰქონდა, ტესტის პასუხი უარყოფითი იყო.

²⁸ იხილეთ სპეციალური პენიტენციური სამსახურის 2020 წლის 13 ოქტომბრის განცხადება. <<https://bit.ly/3rAXVfG>> [ბოლოს ნანახია: 03.11.2020].

²⁹ მაგალითად, სამედიცინო პერსონალი რომელიც მუდმივად დაწესებულებაში არ იმყოფება.

³⁰ N8 დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი, სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების 4 ოფიცერი, ამავე განყოფილების 14 ინსპექტორ-კონტროლიორი და უსაფრთხოების განყოფილების 1 ოფიცერი.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებებს არ იყენებს, რადგან ეს პირები დაწესებულებაში შესვლამდე იმყოფებიან კარანტინში, უტარდებათ ტესტი ახალ კორონავირუსზე და აღარ წარმოადგენენ ვირუსის გავრცელების საფრთხეს.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დაწესებულების როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს სწავლება ინფექციის კონტროლის საკითხებზე
- უზრუნველყოს დაწესებულების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით (ერთჯერადი ხალათი, პირბადე, ხელთათმანი, ბახილი, ჩაჩი) მომარაგება

7.2. მსჯავრდებულთა ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მომარაგება და ინფექციის კონტროლის საკითხებზე ინფორმირება

მსჯავრდებულების ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მსჯავრდებულების მომარაგება არ ხდება. ამასთან, მათ სადეზინფექციო და ინდივიდუალური დაცვის საშუალებების შეძენის შესაძლებლობაც არ აქვთ. რაც შეეხება კორონავირუსის გავრცელების პრევენციის ზომებთან დაკავშირებით ინფორმირებას, სამწუხაროდ, დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში რაიმე სახის საინფორმაციო მასალა კორონავირუსთან და ინფექციის გავრცელების პრევენციულ ზომებთან დაკავშირებით მსჯავრდებულებს არ მიუღიათ. მსჯავრდებულთა საცხოვრებელ კორპუსში Covid-19-ის შესახებ რაიმე სახის საინფორმაციო პოსტერი გამოკრული არ იყო. ასეთ ინფორმაციას ისინი ტელევიზიით იღებენ. საქართველოს სახალხო დამცველს მნიშვნელოვნად მიაჩნია დაწესებულების ადმინისტრაციამ გადადგას ნაბიჯები პატიმართა ინფექციის კონტროლის საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს კორონავირუსის გავრცელების პრევენციულ ზომებთან დაკავშირებული ინფორმაციის პატიმართათვის ხელმისაწვდომობა, როგორც საინფორმაციო პოსტერების გაკვრით, ასევე საინფორმაციო ბუკლეტების პატიმრებისთვის გადაცემისა და ვიდეორგოლების გაშვებით

6.2. საკარანტინე სივრცე

ყოფილი N19 პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მოწყობილმა საკარანტინე სივრცემ 2020 წლის 19 ივნისიდან დაიწყო ფუნქციონირება, სადაც 82 პატიმრის განთავსებაა შესაძლებელი. საკარანტინე სივრცეში თავსდებიან ის პატიმრები, რომელთაც სამედიცინო დახმარების აღმოსაჩენად აღმოსავლეთ საქართველოში მდებარე სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულებებში 24 საათზე მეტი ვადით მოთავსება დასჭირდათ. საკარანტინე სივრცეში პატიმრები 2 კვირის ვადით თავსდებიან.

2020 წლის 26 ივნისს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროისთვის საკარანტინე სივრცეში 48 პატიმარი იყო მოთავსებული, ხოლო 3 სექტემბერს

განხორციელებული ვიზიტის დროს - 36. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 26 ივნისს დაწესებულებაში ვიზიტის დროს საკარანტინე სივრცეში მოთავსებული პაციენტების უმრავლესობას პოსტოპერაციული პაციენტები წარმოადგენდნენ, რომლებიც მუდმივ მეთვალყურეობას და დაკვირვებას საჭიროებდნენ, თუმცა სამედიცინო პერსონალის³¹ ნაკლებობის გამო გართულებული იყო მათთვის სრულფასოვანი და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდება. ამასთან, წამლების სამარაგოში არსებული მედიკამენტების ნაკლებობა საკარანტინე სივრცეშიც პრობლემას ქმნიდა. ადამიანური რესურსების და სამედიცინო პერსონალის ნაკლებობიდან გამომდინარე, 2020 წლის სექტემბერს სპეციალურმა პენიტენციურმა სამსახურმა საჯარო სამსახურის ვებგვერდზე არა-ერთი ვაკანსია განათავსა.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საკარანტინე სივრცეში მოთავსებული არიან პოსტოპერაციული პაციენტები, რომლებიც მუდმივ სამედიცინო მეთვალყურეობას და მონიტორინგს საჭიროებენ, სრულფასოვანი და დროული სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით, მნიშვნელოვანია გაიზარდოს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა. ასევე გამოსწორდეს მედიკამენტების მომარაგების კუთხით არსებული ხარვეზები.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- საკარანტინე სივრცეში სამედიცინო პერსონალის რაოდენობის გაზრდით უზრუნველყოს პაციენტების სათანადო სამედიცინო მეთვალყურეობა

7. სამედიცინო მომსახურება

მონიტორინგის შედეგად დადგინდა, რომ პენიტენციური ჯანდაცვის კუთხით პრობლემას წარმოადგენს სამედიცინო პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა, ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციების ხელმიუწვდომლობა, მედიკამენტებით მომარაგების ხარვეზები და სამედიცინო კონფიდენციალურობის დაუცველობა.

7.1. სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობა

2020 წლის 26 ივნისს სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს, N8 დაწესებულების ქსნის ნაწილსა და საკარანტინე სივრცეს ემსახურებოდა 2 პირველადი ჯანდაცვის ექიმი, 9 ექთანი (1 დღის ექთანი და 8 მორიგე ექთანი),³² 1 წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი. მათგან 1 ექიმი და 4 მორიგე ექთანი N8 დაწესებულების ქსნის ნაწილს და 1 ექიმი და 4 მორიგე ექთანი საკარანტინე სივრცეს. აღსანიშნავია, რომ დღის ექთანი ემსახურებოდა როგორც N8 დაწესებულების ქსნის ნაწილს, ასევე საკარანტინე სივრცეს, მის მოვალეობაში მხოლოდ ფსიქოტროპული

³¹ 2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით საკარანტინე სივრცეს ემსახურებოდა 1 ექიმი, 1 დღის ექთანი და 4 მორიგე ექთანი.

³² 2020 წლის 26 ივნისის მდგომარეობით საკარანტინე სივრცეს სამედიცინო პერსონალის საერთო რაოდენობიდან ემსახურებოდა 1 ექიმი, 1 დღის ექთანი და 4 მორიგე ექთანი. მორიგე ექთნები მუშაობენ 24 საათის განმავლობაში ყოველ 4 დღეში ერთხელ.

მედიკამენტების დარიგება შედიოდა. N8 დაწესებულების ქსნის ნაწილში ლამის და არასამუშაო საათებში მორიგეობდა 1 ექთანი, ამასთან არ ჰყავდათ მორიგე ექიმი და N19 დაწესებულების მორიგე ექიმს მიმართავდნენ საჭიროების შემთხვევაში. დღის განმავლობაში კი დაწესებულებაში იმყოფებოდა 1 ექიმი, 1 დღის და 1 მორიგე ექთნები.³³

აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ განხორციელებული მეორე ვიზიტის დროს სამედიცინო პერსონალის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ იყო შეცვლილი. 2020 წლის 3 სექტემბერის მდგომარეობით N10 დაწესებულებაში დასაქმებულია 1 მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებელი,³⁴ 2 პირველადი ჯანდაცვის პუნქტის ექიმი, 9 ექთანი (8 მორიგე ექთანი და 1 დღის ექთანი), 1 წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი პირი, 1 სტომატოლოგი.³⁵ დაწესებულების მთავარი ექიმის მოვალეობის შემსრულებლის განმარტებით, N18 დაწესებულების ტუბერკულოზის განყოფილების 4 მორიგე ექიმი ასევე N10 დაწესებულებასაც ემსახურება. შესაბამისად, დღის განმავლობაში დაწესებულებაში არის 3 ექიმი, მათგან ერთ-ერთი N18 დაწესებულების ტუბერკულოზის განყოფილებას ემსახურება, 1 დღის და 2 მორიგე ექთანი, ასევე წამლების სამარაგოზე პასუხისმგებელი 1 პირი, ხოლო ლამით დაწესებულებაში არის 1 მორიგე ექიმი და 2 მორიგე ექთანი.

რაც შეეხებათ მოწვეულ ექიმ სპეციალისტებს, ქვეყანაში ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, 2020 წლის მარტის თვიდან, დაწესებულებაში შეიზღუდა მათი ვიზიტები. იმ შემთხვევაში, თუ პაციენტს ესაჭიროება გადაუდებელი კონსულტაცია, იგი გადაჰყავთ სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში. სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და ინფექციის კონტროლის ყველა ზომის დაცვით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციები.

ახალ კორონა-ვირუსთან დაკავშირებით რამე დამატებითი ზომები დაწესებულებაში მყოფ ხანდაზმულ მსჯავრდებულებთან და მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტებთან, როგორც განსაკუთრებულ რისკ ჯგუფთან, მიმართებით არ მიუღიათ და ამ პირების ჯანმრთელობის მდგომარეობის საგანგებო მონიტორინგი არ მიმდინარეობს.³⁶ ამდენად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ეპიდემიოლოგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვის ხარისხის მიუხედავად, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან თანამშრომლობით, დაწესებულებაში რეკომენდირებულია

³³ 2020 წლის 26 ივნისს დაწესებულებაში სამედიცინო პერსონალის სამუშაო დატვირთვა დიდი იყო. ექიმის განმარტებით, დღის განმავლობაში საშუალოდ 9 პაციენტს უწევს კონსულტაციას. გარდა ამისა, ექიმს კონსულტაციებთან ერთად დოკუმენტაციის წარმოებაც უწევს, რაც დიდ დროს მოითხოვს.

³⁴ ემსახურება N15 პენიტენციურ დაწესებულებასაც.

³⁵ სტომატოლოგი N18 დაწესებულების ტუბერკულოზის განყოფილებასაც ემსახურება.

³⁶ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტები. არაოფიციალური თარგმანი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <https://bit.ly/2zl23nL> > [ბოლოს ნანახია 05.10.2020]. ოფიციალური ტექსტი ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: < <https://bit.ly/2AnaxR> > [ბოლოს ნანახია 05.10.2020].

გატარდეს დამატებით პრევენციული ზომები, როგორცაა განსაკუთრებული რისკ ჯგუფის³⁷ მსჯავრდებულების იდენტიფიცირება და მათზე განსაკუთრებული ზრუნვა.³⁸ ასევე, ინფექციის კონტროლის ზომების ეფექტიანად მიღების უზრუნველსაყოფად როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პერსონალს უნდა ჩაუტარდეს სწავლება ინფექციის კონტროლის (COVID-19-ზე განსაკუთრებული ფოკუსით) შესახებ.

პრობლემურია პაციენტსა და ექიმს შორის შეხვედრის დროს კონფიდენციალობის დაცვის საკითხი. ექიმთან კონსულტაციის მიღების მიზნით მსჯავრდებულმა ჯერ დაწესებულების რეჟიმის/უსაფრთხოების თანამშრომელს უნდა მიმართოს, რის შემდეგაც მას სამედიცინო ოთახში გადაიყვანენ. მსჯავრდებულების თქმით, ექიმს მართალია ოთახში ხშირად მარტო ხვდებიან, თუმცა ღია კართან დგას უსაფრთხოების თანამშრომელი, რომელიც ისმენს მსჯავრდებულის ექიმთან შეხვედრის შინაარსს. სახალხო დამცველი თავის არაერთ ანგარიშში მიუთითებს ექიმისა და პაციენტის შეხვედრის დროს კონფიდენციალობის დაცვის მნიშვნელობაზე. ცხადია, რეალური და იმწუთიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში გარკვეული ზომები უნდა იყოს მიღებული სამედიცინო პერსონალის უსაფრთხოების დასაცავად, მაგრამ შერჩეული ზომა ყოველთვის უნდა იყოს პროპორციული და უნდა დოკუმენტირდეს წინასწარ განსაზღვრული ფორმით.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების მისაღებად, ქვეყანაში არსებული ეპიდემიოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებითა და ინფექციის კონტროლის ყველა ზომის დაცვით უზრუნველყოფილი უნდა იქნას ექიმ-სპეციალისტების კონსულტაციები
- მოხდეს ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით განსაკუთრებული რისკ ჯგუფის მსჯავრდებულების იდენტიფიცირება და მათზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა
- როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს სწავლება ინფექციის კონტროლის (COVID-19-ზე განსაკუთრებული ფოკუსით), მათ შორის ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენების საკითხებზე
- მაქსიმალურად თავიდან იქნას აცილებული მსჯავრდებულების ერთ სივრცეში კონცენტრაცია
- ყველა მსჯავრდებული სახელმწიფოს ხარჯზე უზრუნველყოფილი იქნას პირადი ჰიგიენის დაცვის აუცილებელი საშუალებებით
- უზრუნველყონ, რომ პირბადეს იყენებდნენ ის მსჯავრდებულები, რომლებსაც აღენიშნებათ რესპირატორული დაავადებების სიმპტომები

³⁷ განსაკუთრებულ რისკ ჯგუფს მიეკუთვნებიან ხანდაზმულები და მძიმე, ქრონიკული დაავადებების მქონე მსჯავრდებულები.

³⁸ წამების პრევენციის ქვეკომიტეტის რეკომენდაციები მონაწილე სახელმწიფოებისა და პრევენციის ეროვნული მექანიზმებისათვის კორონავირუსის პანდემიასთან დაკავშირებით (მიღებულია 2020 წლის 25 მარტს), მე-9 პუნქტის „ა“ და „მ“ ქვეპუნქტები.

- მაქსიმალურად უზრუნველყოს პაციენტებისა და ექიმების უშუალო კონტაქტი არასამედიცინო პერსონალის მონაწილეობის გარეშე გამოძახების ღილაკის დამონტაჟებისა და/ან სამედიცინო პერსონალის მიერ საკნების ყოველდღიური შემოვლის ვალდებულების დაწესების გზით
- დაწესებულების დებულებაში გაიწეროს სტანდარტი, რომლის მიხედვითაც სამედიცინო შემოწმებისას თანამშრომლის დასწრების შემთხვევაში მხოლოდ ვიზუალური მეთვალყურეობა იქნება შესაძლებელი. დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისი ინფრასტრუქტურა კონფიდენციალური შემოწმების გარანტირებისათვის

7.2. სამედიცინო რეფერალი

ქვეყანაში ახალი კორონავირუსით (COVID-19) გამოწვეული ცვლილებების შესაბამისად, დაწესებულებიდან შეიზღუდა სამოქალაქო სექტორის კლინიკებში გეგმიური სამედიცინო რეფერალის განხორციელება. აღსანიშნავია, რომ შეუფერხებლად ხორციელდება გადაუდებელი რეფერალი, ასევე გეგმიური რეფერალის ის შემთხვევები, როდესაც პაციენტის გაყვანა ხდება დიალიზის, ქიმიოთერაპიის კურსის ჩასატარებლად, ან ოპერაციის შემდგომი პერიოდის გამო განმეორებით კონსულტაციის/სამედიცინო მანიპულაციის მიზნით. აღსანიშნავია, რომ დაახლოებით 2020 წლის შუა რიცხვებიდან აღდგა გეგმიური რეფერალის განხორციელება, თუმცა სამედიცინო პერსონალის განმარტებით, კვლავ შეფერხებებით ხდება გადაყვანა, რის მიზეზადაც კვლავ საბადრაგო სამსახურის გადატვირთულობასა და პანდემიის დროს დაგროვილ რეფერალს ასახელებენ.

7.3. მედიკამენტებით მომარაგების საკითხი

N8 დაწესებულების ქსნის ნაწილი მედიკამენტებით N8 დაწესებულებიდან მარაგდებოდა.³⁹ რიგ შემთხვევაში, N8 დაწესებულებიდან გვიანდებოდა მედიკამენტების მიწოდება ან მოთხოვნილ მედიკამენტებს ვერ იღებდნენ სრულად. ასეთ დროს, მედიკამენტების მარაგს ავსებდნენ N19 ან N15 დაწესებულებიდან. გარდა მედიკამენტების მომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემებისა, აღსანიშნავი იყო მედიკამენტების სამარაგოში არსებული მდგომარეობა. სამარაგოში არ იყო კონდიციონერი, მაცივარი მედიკამენტების შესანახად, თერმომეტრი და ჰიგრომეტრი, შეუძლებელი იყო კედლების სველი წესით დამუშავება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას მედიკამენტების საკმარისი მარაგი და წამლების სამარაგო მოეწყოს ქვეყანაში არსებული სტანდარტების შესაბამისად.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- დაწესებულების საკმარისი რაოდენობის მედიკამენტებით მომარაგებასთან დაკავშირებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით, მედიკამენტების

³⁹ 2020 წლის 26 ივნისს განხორციელებული ვიზიტის დროს.

შესყიდვისას გათვალისწინებული იქნას განვლილ პერიოდში დანიშნული მედიკამენტების მოთხოვნისა და ხარჯვის გაანალიზებული მონაცემები

- უზრუნველყოს დაწესებულების წამლების სამარაგოში არსებული პირობები იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მისი სველი წესით დამუშავება, ამასთან, ყველა მედიკამენტი შენახული იქნას მედიკამენტების შენახვის წესის სრული დაცვით, შესაბამის ტემპერატურულ რეჟიმში

7.4. ფსიქიკური ჯანმრთელობა

სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ 2020 წლის 26 ივნისს განხორციელებული ვიზიტისას დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულების თითქმის ნახევარი ფსიქოტროპულ მედიკამენტებს იღებდა.⁴⁰ დაწესებულებაში ფსიქიატრიული შემთხვევის მართვა მულტიდისციპლინურ ხასიათს არ ატარებს. 2020 წლის მარტის ბოლოდან 26 ივნისამდე ფსიქიატრმა მხოლოდ ერთხელ 21 მსჯავრდებულს ჩაუტარა კონსულტაცია. მხოლოდ ფსიქიატრის ერთჯერადი კონსულტაცია ვერ უზრუნველყოფს ადეკვატურ ფსიქიატრიულ დახმარებას. მნიშვნელოვანია, რომ ფსიქიატრიული შეფასების პროცესში ჩართული იყვნენ ფსიქოლოგი და სოციალური მუშაკიც, თუმცა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დაწესებულებაში ვიზიტი შეზღუდული იყო. ამავე პერიოდში სუიციდის პრევენციის პროგრამაში 3 მსჯავრდებული იყო ჩართული, თუმცა მათთან მულტიდისციპლინური მუშაობა არ მიმდინარეობდა.

რეკომენდაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრს:

- უზრუნველყოს სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართული პირებისთვის მულტი-დისციპლინური გუნდის შეხვედრები

⁴⁰ მსჯავრდებულებიდან 77 პირი ფსიქოტროპულ მედიკამენტებს იღებენ, მათ შორის 40 კი სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებულ მედიკამენტს.